კვირა, 9 ივლისი 1917 წ.

რედაქციის ადრესი: თფილისი, ოლღას ქუჩა, № 6.

ფასი 20 კაპ.

ეშმაკის მათრახი

№ 28

1917

შინაარსი: პირველი ქურდობა — ეშმაკი. პატარა ფელეტონი — ზორიელი. ჭრელი ამბები — სამართებელი. შექსპირის ლექსები — შქანჯალებული. სოხუმის ამბები — სტუმარი. შეხვედრა — ალბურიონი. დეპეშები. თავადის ნათქვამი — სუსლიკი. დაიჯერა ძ. ლია. წერილი გლეხი ვანო. ფოსტა.

სურათები: ორი ძალა. სიზმარი. შარჟები და ილუსტრაციები კონფერენციისა.

ორი ძალა



— ღობეს გადაღმა ბჭობენ და ელიან ბრძოლის გათავებას.
— ღობეს გადმოღმაც ბჭობენ და მოულოდნელათ ელიან ბრძოლის დაწყებას.

პირველი ქურდობა

ვერ დავმალავ და ვიტყვი, რომ ბავშობისას არა ერთხელ და ორჯერ ჩამიდენია ქურდობა. მომიპარავს ხილი მეზობლის ბაღში, მომიპარავს ხილი საკუთარ ოჯახში ჩურჩხლებისა და მურაბის ქურდობაში პირდაპირ სპეციალისტი ვიყავი და თუ მაშინდელი ჩემი ამ საგანში გამოცდილება შემდეგშიაც იმავე ტემპით გამეღრმავებია, დღეს საუცხოვო მოიჯარადრე და პირდაპირ იდეალური ინტენდანტი ვიქნებოდი.

მაგრამ ხომ მოგეხსენებათ სოლომონის თქმულება:

„ადამიანს თვისი ბედი
მასვე შუბლზე აწერია,
და რაც ხვალე შეგემთხვევა
ის უოფილა შენი ბედის წერა“.

მეც ჩემდა უნებურათ გადავეჩვიე ამ სასარგებლო და ცხოვრებაში ერთობ გამოსადეგ ხელობას. ჩემი ბედისწერა იმდენათ უხეირო გამოდგა, რომ არა თუ მე თითონ გადავეჩვიე, პირიქით სხვებსაც ვუშლიდი მას და ამ ნიადაგზე არა ერთი და ორი მეგობარი მტრათ გავიხადე.

დიახ, სიყრმიდანვე ჩავკალ ჩემს არსებაში დიდებული ნიჭი ქურდობისა და უბრალო მომაკვდავ მოქალაქეთ ყოფნა ვარჩიე. ვცხოვრობდი მშვიდათ, უწყინრათ, ვწერდი პატარა სახუმარო ამბებს, ვჭამდი ჩვეულებრივ საჭმელს და ვსვამდი ორიოდ ჭიქა ღვინოს.

მაგრამ აი, ერთ მშვენიერ დღეს, უეცრად თავზარი დამეცა. სწორეთ ისე, როგორც ერთ ქართველ კაცს სიზმარში. გავიგე, რომ ახალ მთავრობას ღვინო აეკრძალა. არასოდეს არ ვყოფილვარ ღვინის მოტრფიალე, მაგრამ, როცა ის აიკრძალა და ამგვარათ დაჩაგრულთა კატეგორიაში გადირიცხა, მე მყისვე ვიგრძენი ჩისდამი განსაკუთრებული სიყვარული, თანაგრძნობა და მისწრაფება. უმისოდ ჩემი ცხოვრება შეუძლებელი შეიქნა. სიზმარში, თუ ცხადში მხოლოდ ღვინო მესიზმრებოდა და მესიზმრებოდა სხვა და სხვა მიმზიდველი სახით. გადავსწყიტე რაც უნდა მომსვლოდა ერთი ბოთლი ღვინო მეშოვნა, გადავსწყვიტე და სამი დღის განმავლობაში შესაფერი გეგმაც დავიმუშავე.

სირაჯი გეურქა, ყოველთვის დიდ მეგობრობას მიწევდა, ჯერ კიდევ ძველი მთავრობის დროსაც, ვინაიდან ანგარიშის გასწორების დროსა რასოდეს არ ვკითხულობდი ნახარჯის რაოდენობას და ზოგჯერ თავიც კი მომწონდა, რომ ბევრი ღვინო მქონდა დანალეევი. ახლაც გეურქას მივმართე.

— ნავთი გაქვს, მეგობარო?

— როგორი გინდა?

— წითელი.

— წითელი ნავთი აღარ არის, თუ გინდა თეთრი წაიღე.

— სულერთია, დაე თეთრი იყოს. რაღაც სრულიად უმიზეზოთ ბერი გამახსენდა და ჩამეცინა.

— კაცო არაფერი ხიფათი ამიტეხო! ეკვიანის კილოთი მკითხა გეურქამ. ხუმრობა საქმე როდია. ე ვერანა მილიციის უფროსი ძველებურათ სიტყვებს როდი ხარჯავს, ერთს მოგიჭრის და გათავდა.

— შენ ფიქრი ნუ გაქვს. იმასთან მე გავასწორებ ანგარიშს.

— გენდობი. აი, აქედან ადი და იმ ვიწრო შესახვევს აჰყევი, არავინ შეგხვდება.

— რა გერგება?

— რამდენიც გენებოს.

— მაინც?

— დასტოვე ხუთი მანეთი.

დავტოვე ფული, ბოთლი პალტოს მარცხენა ჯიბეში ჩავიდგი, ქუდი თვალებზე ჩამოვიფარე, ბოთლის ყელი სახელოში შევაფარე და ნელის ნაბიჯით ავუყევი ვიწრო შესახვევს.

— ისე მიდის, ნამდვილ გადაკრულში უნდა იყოს. წასჩურჩულა თანამგზარ ქალს ახალგიზრდა ნოქარმა, რომელსაც ღღეს გაფიცვა ჰქონდა გამოცხადებული და სატრფოსთან სეირნობდა.

— ნეტავ სად ეულობენ ეს ოხრები! გაეპასუხა ქალბატონი და გამშორდენ. მე თავისუფლათ ამოვისუნთქე, მაგრამ ჩემი ბედნიერება ხანმოკლე გამოდგა ქუჩის მოსახვევში მილიციონერს ვიღაც დატვირთული მუშა ელაპარაკებოდა.

— Ни знаимъ! დინჯათ მიუგო მილიციონერმა და მუშა ჩემთან მოიყვანა.

— პროჩიტაიტ პაჟალუსტა გდი ეტა ულიცა?

მე კანკალი დამაწყებია.—აი მოვიდა აღსასრული მეთქი! გავიქეცი გულში და გაქცევა დავაპირე, მაგრამ მცირე მოფიქრების შემდეგ ძველი

ტაქტიკა უარვყავი და ახალს დავადექი.

— ია სამ ნე ზნაეშ! აი იქით იკითხე მეთქი ვუთხარი და ორივენი ვიწრო შესახვევისკენ გავისტუმრე. დიდის სიფრთხილით გადავიარე ანდრიას ქუჩა და ნიკოლოზისაზე გადავედი. სულ ორიოდ ნაბიჯი, ერთი მოხვევა და სახლში ვიქნებოდი, მაგრამ ბედს ჩემთვის ეს არ დაუწერია. სწორეთ 164 ნაბიჯზე ჩემი სახლიდან სამი რევოლიუციონური ჯარისკაცი გადამეყარა. ისინი „სემიჩკას" მიირთმევდენ, რომლის დაწეწკილი ჩენჩი ნაპერწკლებივით ეფინებოდა ქუჩას. ერთი მათგანი მოულოდნელათ გამეკრა მარცხენა გვერდზე და ხელი ბოთლზე მოუხვდა.

დამიჭირეს.

ჩემს ირგვლივ აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი. იყვენ ნაცნობ-მეგობრებიც ჩვენი ეზოდან. წარმოითქვა რამოდენიმე სიტყვა ჩემი უმსგავსო საქციელის შესახებ, რომლებშიაც გაკიცხულ იქმნა რობერტ გრიმის საქციელი, კერენსკის ბრძანება იერიშების შესახებ, გუჩკოვ მილიუკოვი, ბურჟუაზია და პროლეტარიატი. მე ვიდექ დარცხვენილი და ქირის ოფლში ვიწურებოდი.

მიტინგი დაიშალა და მე მილიციის სამმართველოში წამიყვანეს. მართალი მოგახსენოთ არ მახსოვს ხელით შემეხენ რევოლიუციონური ჯარის წარმომადგენელნი თუ არა. მილიციის უფროსი ჩემი მეგობარი კაცია. ალბათ ამიტომაც დაკითხვა მოკლეთ აწარმოვა.

— თქვენი სახელი?

— განა აღარ გახსოვთ?

— გვარი?

— გვარი და ,ავიწყდა?

— სამსახური? მაგრამ რაღას გეკითხები, ქურდს რა სამსახური უნდა ჰქონდეს გარდა ქურდობისა.

— მე... მე...

— ვიცი, ვიცი. ჩვენ აქ ოფლში ვიწურებით, რათა ქალაქში წესრიგი არ დაირღვეს, ვცდილობთ მთვრალმა მოქალაქემ არ ჩაიდინოს რაიმე დეზორგანიზატორული ტაქტიკური ნაბიჯი და თქვენ...

— მე, ამხანაგო, ეს შემთხვევით მომივიდა. პროფესიონალური ქურდი არა ვარ... ერთხელ კიდევ მახსოვს ასეთი გარემოება ერევნის მოედანზე მიტინგის დროს.

— როგორ? განა ეს პირველი არ არის? თქვენ მაშ მართლაც ხელობათ გაგიხდიათ. სირცხვილი თქვენ! აბა, მილიციონერო! წაიყვანეთ ეს ვაჟბატონი და შესაფერი ადგილი უჩვენეთ.

მე გავძალიანდი. მდგომარეობა გამწვავდა. საქმეში შეიარაღებული ძალა ჩაერია და ჩემს თავთან გაისმა საზარელი ჭექა!..

—

მიზეზი ხმაურობისა ჩემი დამტარებელ — კომისარი ვანო ლომთათიძე გახლდათ. იმან ისე მოულოდნელათ შემოაღო ჩემი ოთახის კარები, რომ შიშით კინაღამ ლოგინიდან გადმოვარდი. ცოტა ადრე რომ მოსულიყო რამდენ ტანჯვას გადამარჩენდა.

ეშმაკი.

პატარა ფელეტონი

მორიგი კერპი

სოციალ-ფედერალისტთა პარტია ჭეშმარიტათ რწმენის პარტიაა!

ჩვენში, სოციალ-დემოკრატების მიზეზით, მათზე ხალხს შემცდარი წარმოდგენა აქვს შედგენილი.

ნამდვილათ კი ჩვენი ეროვნულ ფედერალისტური პარტია ერთ დღესაც ვერ გასძლებს, თუ ვინმე სალოცავი პიროვნება არა ჰყავს.

რომ უქმი ლაპარაკი არ შემწამოთ, მე მსურს ჩემი აზრი ფაქტებით დავასაბუთო, მაგრამ ვიდრე ფაქტებზე გადავიდოდე, აღვნიშნავ ერთ ზოგად მოვლენას: სოციალ ფედერალისტთა სათაყვანო პირები, ანუ კერპები, სოციალ დემოკრატიის წიაღიდან გამოსული პიროვნებანი არიან. ასე რომ, თუ საგანს ძირში ჩავხედავთ, ფედერალისტების მხსნელი, ანუ მესია, უთუოდ სოციალ დემოკრატებიდან უნდა გამოვიდეს, რასაკვირველია რენეგატის სახით.

გრ გოლ **რობაქიძე**, ეს პირველი კერპი იყო სოციალ-ფედერალისტთა სამლოცველო ჰორიზონტზე ამოტყორცნილი. იმისი ღვთაებრივი სახე, მარტივი ქართული ენა, ზღვა საუნჯე ფილოსოფიური ღირებულებათა, დაუცხრომელი შრომის მოყვარეობა, ხალისი ბრძოლისა და გარკვეული პროგრამა ცხოვრებისა, აშკარა ხდიდა მის დიდ ბუნებოვანებას და აი ფედერალისტებმაც მას მიაპყრეს თვალნი

თვისნი.

— ფილოსოფოსი გრიგოლ რობაქიძე!

— გრიგოლ რობაქიძე!

— გრიგოლი!

აი რა ისმოდა ყველგან სადაც კი მოლაპარაკე ხალხს წააწყდებოდი. გრიგოლიც ხელგაშლით სარგებლობდა თავისი ღვთაებრივი თანამდებობით, ვიდრე მისი მზე დასავლეთისაკენ არ გადაიხარა. ამას კი ხელი შეუწყო ახალი კერპის მოვლინებამ.

გერონტი ქიქოძე გახლდათ ეს მეორე სალოცავი სოციალ-ფედერალისტებისა. ახალგაზრდა, ახოვანი, გაბრიელის სახლიკაცი, ყოფილი სოციალ-დემოკრატი, ფილოსოფიური მეცნიერებით დატვირთული გერონტი ქიქოძე ბადრ მთვარესავით ამოცურდა ფედერალისტთა ცაზე, როცა გრიგოლ რობაქიძის მზე შუბის ტარზე იდგა. დიდი და პატარა, ახალ სათაყვანო კერპს მოწყურებული, ფეხქვეშ დაეგო ახალ წანასწარმეტყველსა და ნუგეშის მცემელს. მე ახლაც თვალწინ მიდგას ისტორიული სურათი, რაიცა 1914 წელს ბაკურიანის სადგურთან ვიხილე. სადგურის აივანში იჯდა ბებია-კრიტიკოსი კიტა აბაშიძე, როცა შორს, გზაზე, გერონტი გამოჩნდა. კიტა ზეზე წამოიჭრა და მისკენ გაექანა.

— როცა მთა არ მიდის მაჰმადთან, მაშინ მაჰმადი უნდა მივიდეს მათთან-ო, შესძახა მცხოვანმა მოღვაწემ და გადაეხვია დიდების შარავანდედით მოსილ ახალგაზრდას.

ახლა არ ვიცი რა აზრისაა ბ-ნი „მაჰმადი“ „მთის“ შესახებ, მაგრამ უკვე ფაქტია მთის დაშვავება და სხვის მამულში გადასვლა. ფედერალისტებს ამ კერპმაც უტყუა: იმათი პარტია ვერ იხსნა სოციალ-დემოკრატებისაგან. და აი, გულ გატეხილსა და ობოლ პარტიას ღმერთმა მოუვლინა ახალი კერპი,

თედორე ღლონტია სახელი რომლისა. აუწერელმა სიხარულმა შეიპყრო თითქმის ძალმიხდილი და იმედ გატეხილი პარტია. ახალი კერპი პირდაპირ „პერპეეტუმმობილე“ გამოდგა პუბლიცისტიკისა. ის სწერდა, სწერდა და სწერდა, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ წერისათვის არ სჭიროდა: არც ჭკუა, არც ცოდნა, არც ეთიკა! მან შეჰქმნა ცალკე სექტა მწვალებლებისა, რომლებსაც „ზვირთელები“ უწოდა. თედორე ღლონტის ავტორიტეტი დღითი დღე იზრდებოდა, ხოლო მასთან ერთად იღვიძებდა იმედი ფედერალისტთა გულში სოციალ დემოკრატთაგან განთავისუფლებისა.

მაგრამ აი მოწმენდილ ცაზე დასჭექა მეხმა და ფედერალისტებს თავზარი დასცა. მოხდა რუსეთის დიდი რევოლიუცია. თედორე ღლონტი ისე გაჰქრა ფედერალისტთა სამლოცველოდან, როგორც ყალიონის კვამლი ქარიშხალის დროს. პარტია კვლავ დაობლდა და სასოწარკვეთილებას მიეცა. ავტოკეფალურმა ღმერთმა შეისმინა ხმა მათი მწუხარებისა და მოუვლინა ახალი კერპი, ახალი რენეგატი სოციალ დემოკრატთა წიაღისა.

შალვა ნუცუბიძე, აი სახელი და გვარი მორიგი კერპისა. მაგრამ მარტო ეს ორი სიტყვა არ განსაზღვრავს სიდიადეს ახალი კერპისას. მას ამშვენებს სხვა, განსაკუთრებული ტიტული, ხარისხი მწიგნობრობისა. ის გახლავთ პრივატ-დოცენტი.

და აი დღეს ირგვლივ გაისმის მხურვალე ლოცვა-ვედრება უბედო პარტიისა:

— წმინდაო პრივატ დოცენტი შალვაო, შეგვიწყალენ და გვაკურთხენ ჩვენ, ვითარცა სახიერ ხარ და კაცთ მოყვარე.

შალვაც რასაკვირველია ცდილობს. დღე არ გავა „სახალხო ფურცლის“ ქრონიკის თავში არ ეწეროს: „**ამხანაგი პრივატ-დოცენტი შალვა ნუცუბიძე** წაიკითხავს ლექციას...“ ძნელი სათქმელია, ავიდა თუ არა საშუადღეოზე მზე შალვა ნუცუბიძისა, მაგრამ უეჭველია მას ბევრი აღარა შეემატება, და დღეს თუ არა ხვალ მაინც ფედერალისტთა სამლოცველოში აღიმართება ახალი კერპი ვინმე რენეგატი სოციალ-დემოკრატისა.

ფედერალისტთა პარტია ჭეშმარიტათ რწმენის პარტია. მას უთუოდ უნდა ჰყავდეს ერთი კერპი, რათა თაყვანი სცეს და შეურდოს მას.

მორიელი.

ჭრელი ამბები

ყურნი... სმენად.

როგორც ამას წინათ მოგახსენეთ რუსეთის დიდმა რევოლუციამ გავლენა იქონია გაზ. „საქართველოზედაც“. თვითმპყრობელი რედაქცია დაემხო და სამსახურს დაუბრუნდა ენა ჭარბობისათვის გადასახლებული მ. ადამაშვილი. ეს ერთად ერთი

ამინისტიაბოძებული პიროვნებაა გაზეთ „საქართველოსი“. მ. ადამაშვილი ისევ ჩაუდგა სათავეში სამხედრო მიმოხილვას და როგორც ხედავათ უკვე საგრძნობი ნაყოფიც გამოიღო. რუსის ჯარი წინსვლას განაგრძობს.

უკანასკნელ მეცნიერულ წერილში: **„ომი და საქართველოს ვალი“**, მგოსანი ასეთ ღრმა მოსაზრებას გამოსთქვამს:

> „1914 წელს ვინმე სერბმა პრინციპმა ავსტრიის მემკვიდრე უუმბარით ააფეთქა. ეს იყო მთელი მსოფლიოს აფეთქება. რამოდენიმე ათას ვერსზე ეს უუმბარა საქართველოსაც მოხვდა და ლამის განგმიროს. სისხლით ვიცლებით, ოჯახიც გვექცევა, კერაც გვიცივდება. ვისაც ყური აქვს სმენად...“ (საქართველო“ № 140)

მართლაც რომ ყურების საქმეა ყველაფერი! მაგრამ რაღა ამ სერბიელ პრინციპს ჩავაცივდით. განა უკეთესი არ იქნებოდა, რომ იმ შეჩვენებულ ევას ადამი არ შეეცდინა? ახლა ყველანი სამოთხეში ვიქნებოდით მხარ-თეძოზე წამოწოლილი.

———

„ქ ა ლ უ რ ო ბ ა“

მართალია დღეს შეხედულობა გამოვიცვალე, მ გრამ მაშინ, როცა მამა გიორგი ევასაგან ადამის ცდუნებისა და ამის გამო პირველყოფილ დემოკრატიის სამოთხიდან გამორეკის ამბავს გვაცნობდა, მე გულწრფელად ვშფოთავდი ევას ვერაგულ საქციელის წინააღმდეგ.

დღეს ამ შეხედულობას მხოლოდ მ. ადამაშვილი იზიარებს, მე კი სრულიად გამოვიცვალე ძველი აზრი და ამ საქმეში ხელი შემიწყო ქუთათურ ევათა გაზეთმა—„ქართველი ქალის ხმა“.

აღნიშნული გაზეთი არკვევს „ქალთა საკითხს“ და სამართლიანათ ამბობს:

> „ადამიანი, როცა იბადება ქალია, ის თუ ვაჟი, თანსდევს თვისება თავისი სქესის გამოჩენისა“.

ჩვენი სათაყვანო სოლომონ ზურგიელიძე, როგორც პრივატ-დოცენტი*) და მცოდნე ქალთა საკითხისა, უფრო შორს წავიდა. იმან სთქვა:

> „ადამიანი როცა იბადვის,
> სქესი თან დასდევს უეჭველია,
> და თუ ის ვაჟი აღარ გამოდგა
> ქალი იქნება მერწმუნეთ ამაში“.

ამ პატარა ტაეპში ყოველივე ეჭვი უარყოფილია სქესთა შესახებ და გაზეთის ხელმძღვანელთ, თუნდაც ისინი მამაკაცთაგან დაჩაგრულნი იყვნენ, არ ეპატიებათ ისეთი დიდი ავტორიტეტის არ ცნობა, როგორიც ს. ზურგიელიძეა.

> „მაგრამ ეს სრულიად არ აკმაყოფილებს დღევანდელს, ვნება აშლილს და თანაც ფიზიკურათ დაცვეთილს მამაკაცების ნაწილს“.

ეს ამონაწერი „ქართველ ქალთა ხმის“ მოწინავიდან უეჭველათ გაუგებრობას გამოიწვევს მკითხველთა შორის. მართლაც რომელ დაცვეთაზეა აქ ლაპარაკი? ძველათ მართალია იყო ჩვეულება „წინა დაცვეთისა“. მოგეხსენებათ იესო ქრისტეც ვერ გადარჩა ამ ახირებულ ჩვეულებას, მაგრამ ამ ჩვეულებამ ჩვენში ნიადაგი ვერ მოიპოვა. თუ მოწინავის ავტორს სახეში ეს გარემოება აქვს, გარკვევით უნდა აღნიშნოს.

ქვემოთ გაზეთი ამბობს,ვითომც დღევანდელი დამოკიდებულება ქალთა და კაცთა შორის „დედალ-მამლური“ იყოს. ჩვენ პირდაპირ ვერ გაგვიგია, რისთვის მაინცა და მაინც სქესთა დამოკიდებულება „დედალ-მამლური უნდა იყოს“ და არა „ტახ-ნეზვური“, „ჰაკ-ულაყური“ „ხვად-ძუკნური“, ან უკიდურეს შემთხვევაში „მდედრულ-მამრული“. რით დაიმსახურეს ქათმებმა ასეთი სიმპატია „ქართველ ქალთა ხმის“ რედაქციისა. ძირს პრივილეგიები! გაუმარჯოს ქართულ ენას.

სამართებელი.

---

*) ფედერალისტების აზრით მხოლოდ შალვა ნუცუბიძეა პრივატ-დოცენტი.

შეყვარებულის ლექსები

ჰერი ბიჭო, ჰერი, ჰერი...
შეხედეთ სად ამოვძვერი!
ამას ქვიან ხომ წალვერი?—
აქეთ-იქეთ მთების წვერი,
უნდა მოვიპარსო წვერი...

—

რაღა ვქნა, თავს რა ქვას ვახლი
ძვირათ მაქირავეს სახლი,

ოც-ოც თუმნათ სულ ოთახი,
ხომ დამექცა მთლად ოჯახი?..
ჰეი, ჰოი, ოჰო, ვოხო
თარი თულა, ლალე, ლალე,
სახლის ქირა გადვიხადე,
ჯიბე სულ მთლად გამოვცალე.
საჭმლის ფულიც აღარ დამრჩა,
აბა, რა ვქნა, გენაცვალე,
უსაჭმლოთ ოთახში ყოფნა
გვედრი, ვინმემ დამასწავლე.
ჰერი, ბიჭო, ჰერი, ჰერი,
ჯავრისაგან დავითვერი,
პურს დავთმობ, რომ მქონდეს „კვერი“
კეჩხობის გზით დავიმტვერი,
სახლის პატრონთ თვალში მტვერი,
ყბებში სილა, ზურგზე შკერი,
ჰერი, ბიჭო, ჰერი, ჰერი
კუჭს არ მიძღებს ეს ჰაერი,
მარტო რკინის წყაროს ვყლიპავ,
წაღვერლებო, ნუ ჩაგვყლაპავ—
დედავ, მამ.ვ, ბები, პაპავ –
მხედავთ! არ მაქვს კარგი ფერი...
კარგი არის ღობეთ შკერი,
ჩემს ჯიბეს კი არ აქვს ფსკერი,
რა ყოფილა ეს წაღვერი...
მადა მაქვს და მშია, ვსტირი,
პური მინდა სამი გირი,
ხვალ მომივა ჯამაგირი,
მას დასწონის ვალის გირი,
დამიგრძელდა ჯავრით ცხვირი...

—

ამიჯანყდა გლახ მუცელი,
ქალო, წყლიან რძეს ნუ წველი...
თქვენც, ძროხებო—წაღვერელო,
რძე-წყალი არ მოიწველო,
თუ არ გინდათ, რომ მოგთელო...
ბუტფოლისტებს გააქვთ ლელო,
კბილი სტკივა, გახდა ელო.
ვაი, ვაი, მტკივა კბილი,
ვერ ვიშოვნე ვერსად ფქვილი,
მოვიარე თლად ბორჯომი,
ვერსად ვპოვე ღობათ ღომი,
წაღვერელ ჩარჩთ ძმებო, ომი,
დავეძგეროთ, როგორც ლომი...

—

მეგაზეთე (თეეზაძეზე)
ნახავ თუ არ ვიყრი მე ჯავრს:
ერთს გაზეთზე იგებს შაურს...
წავალ, ავსტეხ აურ-ზაურს..,
შენ ვის მაცნობ, ან სადაურს?

—

ჩარჩო! შენ არ მოგწონს ნიხრი,
ნიხრის წინ ქედს არ მოიხრი?!.
ჩუმათ! თორემ ხმალს გაგიყრი...
ხილს დაგიპნევ, რძეს დაგიღვრი,
ბოთლებს სულ მთლათ გადაგიყრი...

—

როგორც წყალზე კარგი ტივი,
ისე კოოპერატივი,
სიღარიბიდან გაგიყვანს,
თუ კი ყველა ვსცემთ მას თაყვანს,
არ არის თაყვან საცემი??!
წადი, ნახე აბა ცემი.
იქ ჩარჩებია საცემი
სულყველაფერს რო აძვირებს...
წავალ ბალახს ვაჭმევ ვირებს
ფორთოხალო, და ნარინჯო,
ტურფა ქალო ნაზო დინჯო
ოთახებში გყავს ბაღლინჯო...
ჰა, გაჩერდი არ წამქინჩო.
ჰერი, დელა, დილი, დილო,
შენ სად მიხვალ დღეს, სად ილო,
სთქვი, სად უნდა ისადილო?
„სინათლეში?“*) ტყავს რათ იხდი,
წითელ თუმანს გადაიხდი,
ვერ გაძღები! იცი?—მიხვდი?!.
მადლობას თუ გადამიხდი,
შემიძლია დაგპატიჟო, ჩემო გიჟო.
ნიხრი მალე, ნიხრი, ნიხრი,
მშია, ვკვდები, თავს დაბლა ვხრი...
გააძვირეს ყველაფერი..
რაღათ მინდა ეს წაღვერი...
ჰერი, ბიჭო, ჰერი, ჰერი...
(კვლავ ბევრი მაქვს დასაწერი)

შექანჯალებული.

---

*) „სინეთლე“—სასადილოა წაღვერში, სადაც სიძვირის გამო მოაგარაკეთ თვალთ უბნელდებათ.

სოხუმის ამბები

მისაბაძი მაგალითი

ვისაც რომ ქონდეს ემატოსო, ნათქვამია. სწორეთ ასეა აქაური ფედერალისტების საქმე. ამ დღეებში ერთმა მათმა ლიდერთაგანმა, ძუკუ ლოლუამ, —ცნობილმა მომღერმალმა, ათი ათასი მანეთი მოიგო კარტში და ეს სულ რამოდენიმე საათის განმავლობაში. ათი პროც. ამ ფულიდან პარტიის განკარგულებაში გასცა.

გასამართლება.

ამას წინათ აქ გაასამართლეს „ღალატის“ გმირები ოთარბეგი და ზეინაბი. სასამართლოს თავმჯდომარეობდა თავ. ნ. თავდგირიძე, მდივნობდა თავ. პ. გელოვანი, დამცველებათ გამოვიდენ თავ. შ. დადიანი და თავ. მ. წულუკიძე. საქმის პროცესმა საერთოთ და კერძოთ დამცველების სიტყვამ მსმენელებში მოწონების ნიშნათ საერთო ხვრინვა გამოიწვია. ნაფიცმა მსაჯულებმა ზეინაბი და ოთარბეგი გაამართლეს ხმის უმრავლესობით. ხუთმა მსაჯულმა (ძლივს) თავი დაიჭირა. (რადგან ეძინათ). გამოირკვა რომ დამნაშავე ყველაფერში ანანია გლახა ყოფილა.

ახალი პარტია.

სოხუმში არსდება სოციალისტ—თუთუნის მყიდველთა პარტია. დამფ. ძნებელ კრებაზე სასტუმრო სან—რემოს წინ გამოირკვა რომ მათი პროგრამმა ეროვნული და აგრარული კითხვების შესახებ ისეთივე იქნება, როგორც ფედერალისტების. კამათი გამოიწვია პარტიის სახელწოდებამ. ზოგიერთები ზედმეტათ სთვლიდენ სიტყვა „სოციალისტის“ უალაგოთ ჩაჩხირებას, ხოლო უმრავლესობამ „სოციალისტის“ ჩამოშორება ვერ დაინახა შესაძლებლათ ტატკური მოსაზრებით, არჩევნების დასრულებამდე მაინც. 8 საათის სამუშაო დღის შესახებ სოციალისტ თუთუნისტთა პარტიამ დაადგინა: ვიღებთ რა მხედველობაში რომ დღევანდელ განსაკუთრებულ პირობებში, როცა დრო ფულია და ფული კი ჩვენი სამშობლოს ბედნიერების ქვაკუთხედი, და რომ სამუშაო დროს ერთბაშათ 15 საათიდან 8 საათამდე შემცირება ძირს გომოუთხრის ყოველგვარ წარმოებას, კერძოთ კი თუთუნისას, რაც გამოიწვევს თუთუნის ფასის ხელოვნურათ გადიდებას და ეს კი მძიმე ტვირთათ დააწვება საერთოთ მშრომელ მასას და კერძოთ კი თუთუნის მწეველ რევოლიუციონურ ჯარს და პროლეტარიატს, ამისთვის აუცილებელ საჭიროთ მიგვაჩნია ყოველგვარი სამუშაოს განსაზღვრის წინააღდეგ ბრძოლა ვაწარმავოთ.

მნიშვნელოვანი მოვლენა

ქალაქის თავი და თამჯდომარე აღმსრულებელი კომიტეტისა თავ. ნ. თავდგირიძე განოვიდა ორივე ნ. დემოკრატების და ს. ფედერალისტების პარტიიდან და თავი უპარტიოთ გამოაცხადა. ამ მნიშვნელოვანი ამბის გამო ვინახულე „ეშმაკის მათრახის“ რედაქციის დავალებ თ, პატივცემული თავადი, რომელმაც ჩვეულებრივ დარბაისლურათ და თავაზიანათ მიმიღო. ვერ დავფარავ პირადათ ჩემი განზრახვა იყო მესარგებლა თავადი ნიკოს უპარტიობით და ჩვენკენ, ეშმაკებისკენ გადმომებირებია. მბრთალია ეს არ მოხერხდა, მარა თავადი ნიკოს განმარტებით მე მაინც დიდათ კმაყოფილი დავრჩი. „საზოგადო მოღვაწეობა და საპასუხისმგებელო საქმეების ხელმძღვანელობა მოითხოვს — ბძანა თავადმა — პარტიის გარეშე დგომას და განურჩევლათ ყველას ერთნაირათ სამსახურს. დღემდე როცა ქალაქის საქმეებს მხოლოდ ძლიერნი ამ ქვეყნისანი განაგებდენ, მე მხოლოდ ორ პარტიას ვეკუთნოდი, დღეის შემდეგ კი თვითეულ მოქალაქეს შეუძლია მისი ინტერესების ერთგულ დამცველათ მთვლიდეს. ჩვენ შორის დარჩეს და ისე როგორც ლაპარაკში ვევაჩნიე თავადი ნიკოს მეტი სიმპატია ჩვენსკენ უნდა იყოს, თუმცა ძველი მისი პარტიული ამხანაგები ჯერ კიდევ თავის კაცათ სთვლიან. რაღა თქმა უნდა ასეთ პირობებში ქალაქის თაობა უზრუნველყოფილია თავად ნიკოსთვის მომავალშიც.

სტუმარი.

შეხვედრა

—უჰ, დავიღალე!
ბევრი ვიწვალე,
მთელი სოფელი შემოვიარე,
ხალხს ვაფხიზლებდი,
ჭკვას ვარიგებდი,
აუხსენ მათი ტანჯვა-სიმწარე!.
ასეთ სიტყვებით

ტკბილი სიზმარი

„მიიღება ხელის მოწერა თედო ღლონტის ნაწერებზე“.
(სახალხო ფურცელი)

შეხედავ ცაზე მზეს „ორსულს“
კბილები დაუკრეჭია,
ძირს კი წევს ჩვენი თედორე
(მეცნიერების ღეჭია)
და საოცნებო სიზრმებში
დასცურავს განალაღები,
(რამეთუ ნაწარმოებნი
აქვს ბლომათ გასასაღები.)

ხედავს რომ ხალხი ქართველი
ოხრად აწყდება კარებსა,
დიაცნი ეცილებიან
პირველობაში კაცებსა,
იწერენ ათ-ათ, ოც-ოც ცალს
წიგნს თედოს დანაწერავსა...
და ხედავს იგი სიზმარში
ჯიბეებს განაბერავსა.

— აღსდგა ქართველი მკითხველი,
(მან სიზრმათ დაიღალადა)
რომ დაეწაფოს დანაწერს
კალმითა ჩემით ლალადა!
იკითხეთ ივერიელნო
თქვენ ჩემი დანაწერები...
(ამდროს მის ცხვირზე ბუქნავენ
ურცხვნი, არშიყნი მწერები!)

—კი.

შალვა დადიანი.

ავტორი ცნობილი*) პიესისა „მღვიმეში“

*) თუ რით არის ზიესა „ცნობილი“ ეს ეშმაკის სიდუმლოებას შეადგენს.

სოც. დემოკრატიული კონფერენცია



ამხანაგი თავმჯდომარისა*) ამხანაგი ნოე რამიშვილი. Товарищи! Я предлагаю переводчикамъ: маршъ по мѣстамъ! Далѣе я полагаю, что...

*) აგრეთვე ამხანაგი ამხანაგი ეშმაკისა.



1) ამხანაგი უცნობი, რომელიც დიდის გაჭივრებით გადავხატეთ, ვინაიდან შეგვიტყო და ხელს გვიშლიდა ამ კეთილი განზრახვის შესრულებაში.
2) ამხ. ბერნშტეინი.
3) ამხ. დათიკო ონიაშვილი.
4) ამხ. ყარაჯიანი.

(შმუშვნით, ზმორებით)
შეხვდა ერთ დილას არქიფო ზიპოს,
განბერილებით
(ტრაბახით, ქებით)
თავიც მოჭკონდა, ცოტა არ იყოს!
—სოფლათ იყავი?
ოჰ, ვაჰ, ნეტავი
შენ, ჩემო ძმაო და მეგობარო,
ბედნიერი ხარ—
მთებში დადიხარ
იქ უნდა დასტკბე, იქ ინეტარო.
მე აქ, ქალაქში
მტვერში და ლაფში
უნდა ვიწვალო და ოფლი ვღვარო,
მუშათა ტანჯვა,
იმათი ძრახვა
სავსებით ვიგრძნო, გავიზიარო...
მიუგო ზიპომ
და, ისიც ვითომ
„მოღვაწე დიდი", ქვეყნისა მხსნელი,
თავსა იქნევდა
ადასტურებდა,
რომ უკვდავ იყო მისი სახელი!..
—დიახ, ვიყავი...
სუფთა ნიავი
გრილი, საამო, სულის მხიბლავი,
მთებში სისინებს,
მე იქ მალხინებს
ბუნება დიად-შესანიშნავი!..
და, როს გლეხებთან
სოფლის მშრომლებთან
ვდგევარ კრებაში, მათ ვარამზე ვჰჭობ,
სული მით სტკბება
გული ამდება
რაღაც შეუცნობ ალტყინებას ვგრძნობ!..
—კარგია, ძმობამ,
თუ მოღვაწობამ
იქ მოიტანა რამე ნაყოფი...
შენმა დიდ-შრომამ
თავის დადებამ
მისცა გლეხებსა ცოდნა საყოფი...
—ნაყოფი დიდი,
ვერც-კი დავთვლიდი
იმდენი არის ჩვენი შრომისა,
მაგრამ... ერთბაშათ
(დასელთა მსგავსად)
არ ძალგვიძს გაწრთვნა გლეხკაცობისა.
ჩვენ დადებითათ
უფრო ბეჯითათ
უნდა ვიღვაწოთ, ვიშრომოთ სოფლათ,
თუმც ზოგ კრებებზე
და მიტინგებზე
ხალხი უარსა-გვყოფს და... ვრჩებით
—— ობლათ!..
აქ ოდნავ შედგენ
მოსაუბრენი,
ურთიერთს შესცქეროდენ
გმირები ჩვენი—
თვალებს ჩქარ-ჩქარა ახამხამებდენ,
კვლავ სასაუბროთ ემზადებოდენ.
—მაშ, იქაც წვდება
დასელთა მცნება
სოფლის გლეხებში ფეხსა იკიდებს?!
რა გვეშველება,
თუ ეს მართლდება—
როგორ გავავლოთ მუსრი ესდეკებს?!.
მთლად გაბატონდენ,
ქვეყანას ფლობენ
ყველგან ბევრია მათ მიმდევრები
აღარ ხუმრობენ
დღე-ღამ შრომობენ
მრავლობს და მრავლობს ურიცხვ
წევრები!..
—რა გაეწყობა,
როგორც ეტყობა
დიდია ესდეკთ გავლენა, ძალა,—
ხალხი მიჰყვება
მათ ეთანხმება,
ჯერ კიდევ რწმენა არ შეიცვალა!..
ჩვენ მიწას ვაძლევთ
(ეხლავ ვურიგებთ)
გვსურს, რომ მოისპოს მის საკუთრება,
მაგრამ თემური
(სოციალური)
ცხოვრება გლეხებს ეხმუშება!..
—როგორ, გლეხები
განაწამები
ნუ თუ ვარყოფენ ჩვენსა რწმენასა?
ნუ თუ არა სურთ
იმათ—უბედურთ
დაეპატრონონ მუქთათ მიწასა?!

რასა ფიქრობენ,
რათ აყოვნებენ
მიწების ეხლავ დატაცებასა?
დასელნი თურმე
მათ აფრთხილებენ
და არ აძლევენ ამის ნებასა...
—დიახ, ისინი
ვითა მომთმენნი
„დისციპლინისთვის“ უხმობენ გლეხებს,
ძალას ვარყოფენ
მათ ამშვიდებენ
არ მტაცებლობენ—
დაჰპირდენ სიტყვით რაღაც ნამცეცებს!..
—:—
სთქვა და სასწრაფოთ გამოეთხოვა
თავის მეგობარს, ჩვენი არქიფო,
ზიპოს სახეს კი დაეტყო გლოვა—
გალენჩებული კარგახანს იყო!..

ალბურიონი.

დეპეშები

ჭიათურა. შემთხვევით ამოაჩინეს ამხანაგებმა ბნელი ოთახი; აქ თურმე თავს იყრიდენ კარტის თამაშობის აკრძალვის შემდეგ ის პირები, რომელნიც ვერ შერიგებიან მის მოსპობას ჩვეულებრივ სათამაშოებში. ეს ოთახი გამოდგა ბ ნ ბ-ლის სახლის სახურავში მალულად შედგმული. ბოროტი ენები ამბობენ: „თვით პლატონს კარგა დიდი შრომა მიუძღვის მის დაარსებაშიო“.

ფხიზელი.

დ. ბორჯომი. 18 ივნისს ბორჯომში იშვა ს. ფედერალისტთა სარევოლიუციო კომიტეტი, რომელშიაც შედის ორი ხუცესი, ორი მასწავლებელი და სამი ვაჭარი. თავმჯდომარეთ არჩეულია გ. ვაშაკიძე, მდივნად გ. ვაშაკიძე, ხაზინადრათ გ. ვაშაკიძე. მორიგი პარტიული კრებები იმართება ქვირაში შვიდჯელ. მოხსენებას აკეთებს ბერძნულ ავტონომიაზე გ. ვაშაკიძე, ქართულ თვითმართველობაზე ზ. კიკნაძე, კონტრიბუციაზე მ. სალარიძე, კოალიციურ სამინისტროზე მ. ქიმერიძე და აგრარულ საკითხზე დრო გამოშვეაით ალ. მდავანი. პარტიის წევრათ მიღება შეიძლება ყველასი განურჩევლათ წლოვანებისა, პროფესიისა, წოდებისა, სარწმუნოებისა და რწმენისა, გარდა ეროვნებისა.

ნოდე.

ლია წერილი.

თავისუფალ ჯოჯოხეთის, თავისუფალო მოქალაქეო ბატ. ეშმაკო.

გთხოვთ ეს ჩემი თხოვნა უცვლელათ დააკმაყოფილოთ, გინდოდეთ, თუ არ გინდოდეთ...

მოგახსენებთ (ან რა გამოგეპარებათ) ქ. თფილისში არსდება ქართველ მწერალ-მთარგმნელ, ბელატრისტ მოქალაქეთა კავშირი, რომლის წევრთა სია უკვე გამოცხადებულია გაზეთებში.

ჩემდა საუბედუროთ, როცა ჩემთან ერთად კლავი-კლავში გაყრილი გოლოვინის პროსპექტზე ჩემს ცუგრუმელა სატრფოს მივდევდი, ერთმა თავხედმა გაზეთის გამყიდველმა გაზეთი შიგ ხელში მომ ჩეჩა (რომ მცოდნოდა შიგ მწერალთა სია იყო დაბეჭდილი, რა ღმერთი გამიწყრებოდა, რომ ხელი მომეკიდნა) ჩემ ცუგრუმელას იმიტომ ვუყვარვარ, რომ მწერლის სახელს ვატარებდი...

— რა ვქნა,—იტყოდა ხოლმე,—თუმცა ზოგი ერთსავით სიყვარულის ლექსებს ვერა სწერ, მაგრამ მაინც მიყვარხარო, რადგან მწერალი ხარო... და ამ სიტყვებთან ერთად მაგრა მომეკროდა ხოლმე მკერდზე რაც ათბობდა ჩემ გაყინულ გულს ოსმალეთის ფრონტზედ... მაგრამ აი დღეს უბედურობა მეწვია... გაზეთი რომ გადავშალევი, უკანა გვერდზედ ჩემმა ცუგრუმელამ თვალი შეასწრო ლექსის მგზავსათ ჩამოწერილ მწერალთა გვარებს. მე თუმცა მაშინვე მივხედი სათაურიდან რაც იყო ის და განვიზრახე მიჩქმალვა, ვინაიდგან ვიცოდი, რომ აქ მხოლოდ პირველ ხარისხოვანი მწერლები იქნებოდენ (ისეთებიც, რომელთაც განზრახვა აქვთ მწერლობას მჰკიდონ ხელი) და ჩემისთანა ძალათ მაცხონე მწერლებს ალაგი არ ექნებოდათ... მაგრამ ვერ მოვახერხე...

— ვისი ლექსია?—მკითხა ჩემმა სატრფომ.

— ლ... ლ... ე...ქ-ს...ი არ არი...ს,—როგორც იყო წამოვიღლუღე.

— მაშ რა არის?

— სი...ა მწ... ერ... ლე... ბის...

— შენცა ხარ?.. აბა მაჩვენეეი,— და ამ სიტყვებთან ერთად გაზეთი ჩამომართვა... და დაუწყო ძებნა ჩემი გვარის პირველ ასო... „ს“, მაგრამ ვერ მიპოვა და მკაცრად შემეკითხა:

— რატომ არ სწერიხართ?—და მკლავში გაყ-

რილი ხელი გამომაცალა...

მე ვსდუმდი, ან კი რა უნდა მეთქვა... ვიდექი ისე, როგორც დგანან ხოლმე გახირა ცხოველნი და ყურების მაგიერ თვალებს? ვაპარტყუნებდი...

— რატომ არ სწერიხარ?—კვლავ შემეკითხა და შევატყე გული ამოუჯდა სატირლად,—რაღა უნდა უთხრა ჩემს პადრუგებს“?—მომატყუეთ განა?

მეთქვა, რომ პირველი ხარისხოვანი არა ვარ მეთქი მცხვენოდა, არა და რა მექნა, ამ დროს ჩემი ყურადღება მიიპყრო სიის ბოლოში მოთავსებულმა „შენიშვნამ“, სადაც სწერია: „სია სრული არ არის, ვთხოვთ მწერლებს თავიანთ ვინაობა გვაცნობონ“—მე სიხარულისაგან კინაღამ გავგიჟდი და ამაყურად მიუთითე ჩემს სატრფოს... აი, უბრალო შემთხვევით გამოუტოვებივართ რადგან თფილისში არ ვცხოვრობდი... და აი ეხლავე მივსწერ წერილს მეთქი... ჩემი ცუგრუმელა დამშვიდდა... მე გავიმარჯვე.. მაშინვე ვიყიდე ღია წერილი და მივმართე სადაც წესი არს: „უმორჩილესად გთხოვთ ჩამწეროთ მწერალთა სიაში, თუმცა არ ვარ პირველი ხარისხოვანი, მაგრამ იმ ზოგიერთს, რომელნიც იმ სიაში გყავთ ჩამოთვლილნი არც მე ჩამოუვარდები“. ფოჩტის ყუთში ჩავაგდევი და ჩემა სატრფო დარწმუნებული ამ სანახაობით (თუმცა შინაარსი წერილისა არ წავაკითხევი) მომიტკბა და კვლავ გაუყარეთ ერთმანეთს ხელი...

ახლა მოგმართვათ თქვენ ჯოჯოხეთის მოქალაქევ ბ. ეშმაკო, დაადასტურეთ, რომ ოდესღაც თქვენს ჟურნალში ვთანამშრომლობდი (ძალიან ცოტას) და რომ მე მწერალი ვარ (თუ ცოტა ხოტბას შემასხავთ, ვეცდები პარტიულ ფოტოგრაფის*) შოვნაში დახმარებას) ამით თქვენ საშუალებას მომცემთ მწერალთა სიაში მოხვედრას და უმთავრესათ ჩემი სატრფოს დარწმუნებას, რომ მე მწერალი ვარ... თორემ ვაი თუ გამექცეს... მაშინ სჯობს ჩემი დაფუკვა... თქვენ კი არა შეგემატებათრა და ჯოჯოხეთის ერთი წევრიც დაგაკლდებათ...

თქვენი მარად მონა მორჩილი:

ბლეხი ვანო.

---

*) „ეშმაკის მათრახის“ რედაქცია, რასაკვირველია არა რაიმე პირადი ანგარიშით, ამოწმებს, რომ „გლეხი ვანო“ მართლაც თანამშრომლობდა ჩვენს ჟურნალში. ეს იყო ძველად, ჯერ კიდევ იმ დროს, როცა საქართველო ავტონომიურ ერთეულს არ წარმოადგენდა და როცა რუსეთი თვით-მპყრობელი სახელმწიფო იყო.

მას შემდეგ გლეხი ვანო სადღაც დაეკარგა ჩვენს რედაქციას და თუ არა ვსცდებით, ზოგჯერ „საქართველოს“ ფურცლებზე ვხედავდით მის ნაწარმოებებს.

ასეა, თუ ისე მგონსანი, გლეხი ვანო, ღირსია შეტანილ იქნას აღნიშნულ სიაში, თუ რასაკვირველია წოდება არ შეუშლის ხელს. **რედაქცია.**

მოთქმა ქუთათურ თავადისა

ეჰ! რა რიგია,
რა სინდისია!
ღმერთო გამიწყერ
თვალს მკარ ფისია...

—

განა არ სჯობდა
ნიკოლოზ ჩვენთვის?
არრას გვიშლიდა,
ვიდოდით ჩვენთვის,
არხეინათა ბალის კიდეზე
ვეძებდით კეთილს
დავეპატიჟნეთ
დიადსა სადილს
და ამ გვარ ცდაში
ვიჩხრეკდით მშრალ
კბილს

—

რაღა ვქნათ ეხლა?
კლდეს თავის შეხლა
ჩვენღა დაგვრჩება:
ახალ მთავრობა
(ღმერთმა დაკრულოს
დღეს ამგვარობა)
არ გვაძლევს შვებას
ბალს არ გვაკარებს
აღარ გვრთავს ნებას.

* *
*

ეხ! რა რიგია!
რა სინდისია!
ფეხი ჩემია
და არ სხვისია!

* *
*

აბა რა უნდათ
წყეულ საბჭოებს:
საქმე არა გაქვთ
წადით არ დარჩეთ
გადაიკარქეთ.
აბა, მითხარით
რა სინდისია
სადილს ვეძებდით:
რა მაქნის ა
აქა კონტროლი —

რა გზა წესია!?!
მუშათა საბჭო
აღარ გვაყენებს:
ბაღს ნუ დახვალთო.—
ვინ რას დაეძებს:
მე ვარ და ჩემი
საკუთარი გძელი
თოქალთო.

* *
*

ეჰ! სჯობდა ისევ
ნიკოლოზ ძველი,
მთავრობა ქველი,
უხვ მასპინძელი
მოყვარე ჩვენი
მპატიჟებელი
ჩემი მჭმეველი.
ფეხზე გვეკიდა
მაშინ მთა-ველი.

* *
*

აბა რა უნდათ
საბჭოებს ჩვენთან?
რა სინდისია
ბაღის კიდეზე
თუ დავდივართ
ფეხნი ჩვენია
და არ სხვისია.

სუსლიკი.

დაიჯერა

(დასასრული)

ი გ ი ვ ე ო თ ა ხ ი

1

ალექსანდრა და გიორგი

(სადამო ხანია, ალექსანდრა და გიორგი ღია ფანჯარას-თან სხედან და ჩაის სვამენ).

გიორგი. ნიკომ დღეს აღარ გვინახულა.

ალექსანდრა ამ საღამოს ჩაიარა ჩვენი სახლის წინ.

გიორგი. ბაზრისკენ?

ალექსანდრა. ჰო, აქეთ ბევრი იცქირა, მარა მე არ დავენახვე; არ მინდოდა ჩამოსულიყო,—სახლი დაულაგებელი მქონდა. რაც უნდა იყოს მაინც გარეშე ჰქვია.

გიორგი. ბაზრისკენ თუ წავიდა, უსათუოდ გამოივლის.

ალექსანდრა. თუ არ გამოივლის, დიდათ არც იმისთვის შევიწუხებ თავს (პაუზა).

გიორგი. (ფანჯარაში იცქირება): ეჰ! რა ჭრელია ცხოვრება, ზაფხული, მზე, სითბო, მწვანე, აგარაკი, სიხარული... მერე უცებ შემოდგომა-ზამთარი, ყინვა, ქარი, სიყვითლე, ჭკნობა და მოწყენილობა.

ალექსანდრა. მაქ რაღათ გაჩერდი? გაზაფხული არ გიწერია სიაში?

გიორგი. როგორ არა. და სწორეთ მიტომ არის ცხოვრება ჭრელი, რომ ყველაფერი, რასაც მაზე ასე თუ ისე გავლენა აქვს, დაუბოლავებელ ცვალებადობას წარმოადგენს.

ალექსანდრა. მერე რა გინდა მაგით რომ სთქვა?

გიორგი. არაფერი. ისე რაღაც... მეც არ ვიცი—რისთვის ვსთქვი.

ალექსანდრა. ფილოსოფოსობას თავი დაანებე, ჩემო ძვირფასო, მაგნაირ კითხვებს თუ გაეკიდე, ვინ იცის სანამდე მიგიყვანს...

გიორგი. საფლავს იქით გზა აღარ მიდის.

ალექსანდრა. რას ამბობ, გიორგი, ხომ იცი, რომ მე მეშინია მაგ სიტყვის?

გიორგი. დასწყევლოს ღმერთმა! ე რა სისულელეს ვროშავ? ფუი ეშმაკს (გვერდზე გააფურთხებს).

1

(შემოდის ნიკო).

გიორგი.
ალექსანდრა. } ოოო. ნიკო, ნიკო (მიეგებებიან)

ნიკო. მოხარული ვარ, რომ მშვიდობით დაბრუნებულს გხედავთ. (ერთმანეთს მიესალმებიან, როგორც რიგი და წესია).

გიორგი. აბა, სტოლისკენ (სხდებიან. ალექსანდრა მესამე ჭიქაში ჩაის დაასხამს და ნიკოს დაუდგამს).

ნიკო. სხვა, როგორი დროება გაატარეთ?

გიორგი. არა უშავს. ცოტათი წვიმებმა შეგვაწუხა ამ ბოლო დროს, თორემ სხვაფრივ ყველაფერი კარგი იყო. შენ რაღას შვრებოდი აქა?

ნიკო. ვყლაპავდი მტვერსა და...

გიორგი. უნდა წამოსულიყავ.

ნიკო. განა არ მინდოდა? მაგრამ,—ხომ იცი, საზოგადო საქმეს რომ ხელს მოჰკიდებ. მერე შენს თავს აღარ ეკუთვნი.

ალექსანდრა. თუ მოაგვარეთ მაინც რამე?

ნიკო. როგორ არა. ყველაფერი მზათ არის, საცაა წარმოდგენების მართვასაც დ ვიწყებთ.

3

(მოულოდნელათ შემოდის ბესო და კარებთან გაჩერდება. მისი გამოხედვა დიდ გაკვირვებასა და უკმაყოფილებას იწვევს)

ბესო. საღამო მშვიდობისა, ბატონებო!

გიორგი. (წამოდგება) მე მგონია...

ბესო. (გააწვყეტინებს) მოითმინე, ჩემო გიორგი, უსაქმოთ არ მოვსულვარ (ნიკო წამოდგება და ქუდს აიღებს) შენ, მგონი, წასასვლელათ ემზადები, ნიკო? არ შეიძლება ცოტა ხანს მოთმინო? ერთი (წინ წამოიწევა) პატარა ზღაპარი მაქვს სათქმელი და მინდა შენც მომისმინო.

გიორგი. გიჟია სწორეთ.

ბესო. თუ გინდ მასე იყოს... რამოდენიმე წუთი, გთხოვთ. შესწიროთ გიჟის ოინბაზობას.

ალექსანდრა. (ბრაზმორეული პამოიჭრება და მაგიდაზე ხელს დაარტყამს) გიორგი! მე არ შემიძლია მეტის მოთმენა!

ბესო. (გიორგის): შევდივარ ალექსანდრას მდგომარეობაში; იმას მართლა უძძიმს ჩემი აქ ყოფნა, მაგრამ რა გაეწყობა!.. შენთან ყოფნას თუ მთელი წლობით უძლებს...

გიორგი. (გააწყვეტინებს): ბესო!!!

ბესო. გარწმუნებ, რომ ჩემზე მეტათ არც შენ უყვარხარ!

ნიკო. (ალექსანდრასა და გიორგის): უკაცრავათ... მე... ნახვამდის (კარებისკენ მიდის).

ბესო. ჩემმა თხოვნამ არ გასჭრა? მაშ აი (რევოლვერს მიუშვერს) არ გაექანო!

ნიკო. (შედგება) კაცო, ხომ არ შეშლილხარ?

ბესო. ჩემი საუბრის უმთავრესი ფიგურა შენა ხარ და უნდა მომისმინო ფეხი არ გადგა. დღეს ყველაფერი უნდა გამოაშკარავდეს! დღეს უნდა გაიგოს გიორგიმ, თუ ვინცახარ შენ და რაც არის მისი ძვირფასი მეუღლე! იმედი მაქვს, რომ დღეის შემდეგ ჩემს ნაცვლად შენ დაიჭერ ბრალდებულის სკამს...

გიორგი. ღმერთო, ეგ რა მესმის!!!

ბესო. ის, რაც დიდიხანია უნდა გეცოდინოდა.

ნიკო. ასეთ ცილისწამებისათვის, იცოდე, პასუხს მოგთხოვ! სულ ეს რევოლვერი...

ბესო. როცა და როგორც გნებავს, ეხლა კი ცოტა კიდევ დამაცადე... (გიორგის) მაპატიე, გიორგი, ეს მოულოდნელი მახარობლობაა, მაგრამ ერთ დროს შენც ასე ულმობელათ მომექეცი, შენ კიდევ უფრო ცუდათ გაისარჯე, ვინაიდან ჭორი სინამდვილეთ მიიღო და საშინელი ცილი დამწამე. ჩემი საქციელი იმით მაინც მართლდება, რომ მე სრულ სიმართლეს ვამბობ.

გიორგი. ახ! ცრუობ, ცრუობ!..

ნიკო. მეტის მეტია!..

გიორგი. სიცრუეა, სიცრუეა!..

ბესო. ვაი რომ არ არის სიცრუე! სრული სიმართლეა! მაგრამ ცოლის სიყვარული იმდენათ გაბრმავებს, რომ ღალატს ვერ ამჩნევ; ის კი დიდიხანია არსებობს. მე, როგორც გარეშე პირი, იმ თავითვე ვხედავდი მას და ყოველთვის იმის ცდაში ვიყავი, რომ რითიმე შენთვის მეშველა. საქმის გახმაურებას ვუფრთხილდი. ჯერ ყველაფერი ნათლათ მინდოდა გამომერკვია, რასაც ალღოთი ვგრძნობდი, — თვალით მენახა და შემდეგ ზომები მიმეღო, მაგრამ არ დამცალდა... იმ დღეს რომ კარი შემოვაღე, თვალი შევასწარ მათ ხვევნა-კოცნას. იმათ ეგონათ, რომ მე მათი მოქმედება შეუმჩნეველი დარჩა; სახლში შემოსვლის უმალვე; ვითომც აქ არაფერიაო, შენი ამბავი მკითხეს. მეც ავდექი და ვიცრუე, — არც ტყუილათ. სწორეთ ამ მოტყუებამ საბოლოოთ დამარწმუნა იმაში, რომ შენს ცოლს შენი სიცოცხლე არაფერი უღირს, მართლა რომ მოტაცებული ყოფილიყავ, ორი ათას მანეთში გვცლიდა — და ეს იმ დროს, როცა ამ ფულის შოვნა მისთვის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა. კითხვა ასე იდგა; ან მთავრობისთვ-ს მიმართვა და შენი ადვილათ შესაძლებელი სიკვდილი, ან ორი ათასი მანეთის გაღება და აუცილებელი დახსნა. შენმა ძეუღლემ პირველი არჩია; ნიკომაც თავაზიანათ იკისრა წასვლა ვისთანაც ჯერ არს და ვინ იცის რა ამბავს დააწევდა, გზაში რომ არ შეხვედროდი... შემდეგ შენც იცი რაც მოხდა!

გიორგი. (დიდ-ხანს მწარეთ ჩაფიქრებულია): ახ! არ!.. გამეცალე, გამეცალე!!... ჩემო ალექსანდრა!..

ბესო. ღმერთმა მისი თავი ნუ მოგიშალოს! რაც შეეხება დაჯერებას, მეც ამის მეშინოდა და ამიტომ იყო, რომ ამდენხანს მ-ყუანის სახელი ვატარე. ეხლა რომ დაიჯერებ, ამაში ეშვი აღარ არის... აი საამისო საბუთი (წერილს გადასცემს) შენი ერ-

თგული ცოლის ხელს იცნობ, მგონი; აგარაკიდან მოწერილია. ნიკოს ნაცვლათ შემთხვევით მე ჩამივარდა ხელში. წაიკითხე და ყველაფერს გეტყვის.. (ნიკოს) მე ყოველთვის მზათ ვარ (მსწრაფლ გადის)

4

გიორგი. (ბრაზ მორეული): რით შეგიძლიათ გაიმართლოთ თავი?!.

ალექსანდრა. (ეშმაკური ღიმილით) სულელი!.. რა ბრალდებაა წამოყენებული, რომ თავის მართლება იყოს საჭირო?

გიორგი. ეს წერილი!?!

ალექსანდრა. უმნიშვნელო რამ არის!

გიორგი. ეს ხომ შენი ნაწერია?!.

ალექსანდრა. რატომ გგონია, რომ ჩემია და არა სხვისი?

გიორგი. განა ვერ ვატყობ? სწორეთ შენი ნაწერია!

ალექსანდრა ესე იგი ჰგავს ჩემს ნაწერს... რას მიცქერი; ხომ ჰგავს?

გიორგი. რა გინდა მაგით რომ სთქვა?

ალექსანდრა. ისა, რომ შენ დიდი სულელი ხარ!.. ჩემო სულელო, ჩემო კარგო სულელო, რათ ხარ ასე უჭკუო? (ალერსით მიუახლოვდება და მხარზე ხელს დაადებს). აბა შეხედე იმ სურათს (მიუთითებს). ის ხომ ჩემი სურათია,—მხატვრის მიერ ხელით დახატული? ხომ მგავს მე? სთქვი - ხომ მგავს?

გიორგი. მერე!?.

ალექსანდრა. ეხლა მითხარი: მე და ის სურათი ერთი ვართ? მითხარი, ჩქარა მითხარი!

გიორგი. აქ საქმე წერილზეა...

ალექსანდრა. დიახ, წერილზეა. ეს წერილი ჰგავს ჩემს ნაწერს, მაგრამ არის კი ჩემი ნაწერი? ნუ თუ უბრალო მგზავსება სჭრის კითხვას! შენ ხომ იცი, რომ არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც ამა თუ იმ პირის ნაწერს სისწორით იღებენ,—ეს არც გასაკვირია: მხატვარი ხომ ადამიანის სახესაც იღებს ყოველი მოხაზულებით.. სახის გადაღება თუ შეიძლება, რატომღაც ნაწერის მიმსგავსება არ შეიძლება? მე შენ გეტყვი —ბესო უსინდესობას დაერიდებოდა მე და შენს შორის ორმოს ამოსათხრელათ... ჩემი რამდენიმე წერილიც ხომ ხელთ აქვს იმ უსინდისოს!.. (გული აუჩვილდება).

გიორგი (ჩაფიქრების შემდეგ): ნუ თუ შეიძლება ადამიანი ასე დაეცეს?!.

ალექსანდრა. შენ ეჭვიც კი გეპარება... ასე აფასებ ჩემს ერთგულებას (მიდის და სკამზე ჯდება)... უჯერი ვილაც უსინდისოს (ტირილს იწყებს)... უნამუსოს... რა უბედური ვარ, რა უბედური (ტირილს თან და თან უმატებს)!..

გიორგი ალექსანდრა, კარგი...

ნიკო. გიორგი, ორიოდე სიტყვა მეც მომისმინე! ბესოსაგან ყველაფერს მოველოდი... ალექსანდრაზე გაბოროტებულმა რომ იარაღათ მეც „გამომიყენა, ეს არ მიკვირს, მაგრამ ქვეყნის დაქცევას უფრო ადრე შევურიგდებოდი, ვიდრე იმ აზრს, რომ მე შენს თვალში სიცრუეზე პირი გავხდებოდი, . ისიც,—ღმერთო, შენ დაგელოცოს სამართალი,— ასეთ საქმეში! შენს ოჯახთან განა ჩემი დამოკიდებულება საამისო საბუთს იძლეოდა? ეხ! გიორგი, გიორგი! გრძნობ-კი რა სილა გამაწანი?

გიორგი. მაპატიე, ნიკო, უზომოთ გავბოროტდი... მეც ადამიანი ვარ...

ნიკო. განა პასუხს გთხოვ? მე მხოლოდ ხაზი გაუსვი არა სასიამოვნო მოვლენას...

გიორგი. რაც არასოდეს აღარ განმეორდება!

ნიკო. იმედი მაქვს, ეხლა კი ნახვამდის!.. მაპატიე, ალექსანდრა... იცოდე, რომ ის არამზადა შესაფერ ჯილდოს მიიღებს (გადის).

5

გიორგი. ალექსანდრა!..

ალექსანდრა (თავ-დახრილი ნელა ტირის).

გიორგი. (მიუახლოვდება): ჩემო...

ალექსანდრა. გაიწი იქით!

გიორგი. როგორ კეკადრება, ჩემო ანგელოზო, გაბოროტებულმა კაცმა რაღაც წამოვიყრანტალე...

ალექსანდრა. ეჭვი ჩემს ერთგულებაში... ასე...

გიორგი. კარგი... დამსაჯე, ოღონდ კარგი, ნუ... ჩემო ციცუნიავ (ეფერება, ეალერსება) ჩემო სიცოცხლევ, ნუ შემიბრალებ ..

ალექსანდრა. „ნუ შემიბრალებ“!..

გიორგი. დიახ, მე ამ წუთში ისეთი ბედნიერი ვარ, ისეთი, რომ რაც მძიმე სასჯელი გადამიწყვიტო, სიხარულით ავიტან. თუ გინდ ხუთასჯერ კოცნა იყოს. ეშმაკმა წამიღოს, თუ ერთი დავაკლო! თანახმა ვარ?.. (ალექსანდრას პირი შეუღიმდება). მაშ ასე! (მოეხვევა; ალექსანდრა მორჩილებით ყელს მოიღერებს, გიორგი მას მხურვალე კოცნას დაუწყებს. ამ დროს კარებში ბესო გამოჩნდება; ის პირველათ განცვიფრდება, შემდეგ მიხვდება, რაშიც არის საქმე, მხრებს აიწევს და ნელა გაბრუნდება).

(ფ ა რ დ ა).

d.

ფოსტა

გ. მაღლაფერიძეს. რედაქციას არა აქვს უფლება ნება დაგრთოთ „საიქიოში“ დასდგათ. მიმართეთ სცენის ავტორს ამ. გოგიას დ. ჭიათურაში. (Чіатуры г. Нуцубидзе. გადაეცით გოგიას)

ლ—ი. ახანაგო ლ—ი!

თქვენი წერილი
საშინლათ სუსტობს,
კალათში უჯობს.

ლამისგორელს. თუ კი გაქვთ ჩვენი
რიდი და ხათრი
გთხოვთ შეიძინოთ
ერთი მახათი.

ჯ. გელ—ვილს. თქვენი სცენა **„სავაჭრო სახლი „რომანოვი და ამხ.“** ერთობ მოძველებული საქონლით ვაჭრობს.

სუსლიკს. შ. ქ-მის დღიური არ დაიბეჭდება.

მეფისტოფელს. რედაქცია გთხოვთ შეიაროთ წიაღსა შინა მისსა. ელისაბედის ქუჩა № 132.

ს. დ. კონფერენცია



წინა რიგი პარტერისა ნაციონალური კითხვის განხილვის დროს.

რედაქტორი **ეშმაკი**. სტამბ **ვ. რუხაძისა**, გაბაევის შესახვ. № 1.